წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი №3

ქ. თბილისი 5 თებერვალი, 2007 წელი

<u>დღის წესრიგი:</u>

1. წარმომადგენლობითი საბჭოს დროებითი რეგლამენტის განხილვა;
2. უნივერსიტეტის წესდების სამუშაო ჯგუფის შექმნა.

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

სხდომას ესწრებოდა 32 წევრი.

1. სხდომაზე გაიმართა დისკუსია და გაკეთდა შენიშვნები რეგლამენტთან დაკავშირებით. დროებით რეგლამენტს მხარი დაუჭირა 32 წევრმა, წინააღმდეგი - არცერთი. საბჭო შეთანხმდა რომ სხდომები ჩატარდება ორშაბათ დღეს, 4 საათზე.

2. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება წესდებაზე სამუშაო ჯგუფის 10 წევრით დაკომპლექტების შესახებ. აღნიშნულს მხარი დაუჭირა 32 წევრმა. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით:

იურიდიული ფაკულტეტი 3 წევრი: რევაზ გოგშელიძე, ზურაბ ძლიერიშვილი და გიორგი შამათავა;

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: მიხეილ ჩიკვილაძე და სოფიო ქვარცხავა;

ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი: დავით კერესელიძე;

ჰუმანიტარული ფაკულტეტი: ცირა ბარამიძე;

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: გიორგი გოგსაძე;

მედიცინის ფაკულტეტი: რომან შაქრაშვილი;

წარმოამდგენლობითი საბჭოს სპიკერი - კახაბერ ლორია.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას მხარი დაუჭირა წარმომადგენლობითი საბჭოს 32 წევრმა.

<u>მიღებული გადაწყვეტილებები:</u>

1. მოწონებული და მიღებული იქნა წარმომადგენლობითი საბჭოს დროებითი რეგლამენტი.
2. შეიქმნა უნივერსიტეტის წესდების შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი		კახაბერ ლორია
სხდომის მდივანი	მ. ჩეკურიშვილი	მარიამ ჩეკურიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) დროებითი რეგლამენტი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წარმომადგენლობითი საბჭო(სენატი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით აირჩევა დაწესებულების ძირითადი ერთეულებიდან – ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებზე მათი რაოდენობის პროპორციულად. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს აკადემიური საბჭოს წევრთა ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები.

მუხლი 2. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადები

წარმომადგენლობითი საბჭო (შემდგომში – საბჭო) აირჩევა 4 წლის ვადით.

თავი II. საბჭოს უფლებამოსილება

მუხლი 3. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების სფერო

1. საბჭო „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს უნივერსიტეტის წესდებას აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;

ბ) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს;

გ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესსა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

დ) ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს;

ე) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

ვ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

ზ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე;

თ) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს;

ი) აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

კ) ამტკიცებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

ლ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

მ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

ნ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების მომზადებისა და წარმართვის პროცედურა განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებითა და ამ რეგლამენტით.

3. წარმომადგენლობითი საბჭო რეგლამენტის, რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების, ბიუჯეტის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციის

ხელმძღვანელის ყოველწლიური ანგარიშის დასამტკიცებლად გადაწყვეტილებას იღებს წარმომადგენლობითი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 4. უფლებამოსილების განხორციელების ფორმები

1. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს საბჭოს რეგლამენტი, გადაწყვეტილება, მიმართვა, განცხადება, აგრეთვე მოისმინოს და ცნობად მიიღოს ინფორმაცია, შეიმუშაოს რეკომენდაციები.
2. საბჭოს სამუშაო და საქმისწარმოების ენაა ქართული ენა.

მუხლი 5. წარმომადგენლობითი საბჭოს იურიდიული მისამართი

წარმომადგენლობითი საბჭოს ადგილსამყოფელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი, (ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №1).

მუხლი 6. წარმომადგენლობითი საბჭოს პირველი სხდომის მოწვევა

1. წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომას იწვევს რექტორი საბჭოს არჩევნებიდან, არა უგვიანეს 5 დღისა.
2. პირველ სხდომას თავმჯდომარეობს წარმომადგენლობითი საბჭოს უხუცესი წევრი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს ახალარჩეული წევრების უფლებამოსილებას ცნობს საბჭო პირველ სხდომაზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
4. პირველ სხდომაზე წარმომადგენლობითი საბჭო ფარული კენჭისყრით, საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სპიკერს. კენჭისყრას აგარებს დაწესებულების საარჩევნო კომისია.
5. წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 10 პროცენტი, სპიკერის არჩევნებამდე არაუგვიანეს 3 დღისა, დაწესებულების საარჩევნო კომისიას წარუდგენს სპიკერის კანდიდატურას. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი ორზე მეტია და ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმავე დღეს უმეტესი ხმების მქონე ორ პრეტენდენტს შორის ტარდება განმეორებითი არჩევნები. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არა უგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი. ახალი არჩევნები ტარდება იმავე წესით. წინა არჩევნებში მონაწილე პრეტენდენტები შემდეგ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.
6. არჩეულ სპიკერს დაწესებულება არჩევიდან 2 კვირის ვადაში წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარეგისტრაციოდ.

მუხლი 7. კვორუმი და სხდომაზე გადაწყვეტილების მიღება

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს მისი ყველა წევრი.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
3. სხდომა შესვენებების ჩათვლით გრძელდება არაუმეტეს 4 საათისა. სხდომის მიმდინარეობა შეიძლება გაგრძელდეს დამსწრე წევრთა 2/3 თანხმობით.

4. თუ კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა ან ამ რეგლამენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომის დამსწრეთა ნახევარზე მეტი.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, გარდა კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/3-ს უფლება აქვს მოითხოვის ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა.

მუხლი 8. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის უფლებამოსილება

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი:

ა) წარმოადგენს საბჭოს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ რეგლამენტით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედებს საბჭოს სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას და ახორციელებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს.

ბ) ორგანიზებას უწევს საბჭოს სხდომების ჩატარებას და თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს;

გ) ხელს აწერს საბჭოს სხდომების ოქმებს და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს;

დ) უზრუნველყოფს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვას;

ე) უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვასა და საკითხის სრულყოფილ, ყოველმხრივ განხილვას;

ვ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

ზ) ამ რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეწყვეტს სხდომას ან აცხადებს შესვენებას;

თ) უფლებამოსილია დასვას საკითხი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის რიგგარეშე განხილვისა და კენჭისყრის შესახებ;

ი) უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საბჭოს დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომებში;

კ) საბჭოს წარუდგენს საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელის კანდიდატურას დასამტკიცებლად;

ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

მუხლი 9. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოში აკულტეტების წარმომადგენლების რაოდენობა პროპორციულია დაწესებულებაში შესაბამის ფაკულტეტებზე აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა რაოდენობების. საბჭოში ფაკულტეტის წარმომადგენელთა რაოდენობა არ უნდა იყოს 3–ზე ნაკლები. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს.

2. საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება 34 წევრით. იურიდიული ფაკულტეტიდან – 3 აკადემიური პერსონალი, 2 სტუდენტი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან – 3 აკადემიური პერსონალი, 1 სტუდენტი; მედიცინის ფაკულტეტიდან – 2 აკადემიური პერსონალი, 1 სტუდენტი; ზუსტ და საბიუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან – 4 აკადემიური პერსონალი, 2 სტუდენტი; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან – 4 აკადემიური პერსონალი, 3 სტუდენტი; ჰუმანიტარული ფაკულტეტიდან – 5 აკადემიური პერსონალი, 3 სტუდენტი. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.

3. საბჭოს წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების და ამ რეგლამენტის მოთხოვნები;

ბ) ხელი შეუწყოს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და ამ რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვას, ხოლო მისი დარღვევის შემთხვევაში სათანადო რეაგირება მოსთხოვოს საბჭოს, მის სპიკერს.

გ) არ გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის თავისი უფლებამოსილება ან/და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა;

დ) არ გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ან კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაცია;

მუხლი 10. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილება

1. საბჭოს წევრს უფლება აქვს საბჭოს სხდომაზე:

ა) დასვას საკითხი განსახილველად;

ბ) შეიტანოს შენიშვნები და წინადადებები საბჭოს კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხზე;

გ) მოითხოვოს სიტყვით გამოსვლა, შეკითხვებით მიმართოს მომხსენებელს, სპიკერს და მიიღოს პასუხი;

დ) გამოთქვას აზრი იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომელთაც ამტკიცებს საბჭო;

ე) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის ბიუჯეტის და საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხთა განხილვაში;

ვ) განახორციელოს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 11. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლება-მოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია უნივერსიტეტთან მისი აკადემიური ან/და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა

2. დაუშვებელია უფლებამოსილებაშეწყვეტილი აკადემიური პერსონალის წევრის ნაცვლად არჩეულ იქნეს სტუდენტი და პირიქით.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლება-მოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით.

მუხლი 12. წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნო

1. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა მუშაობის ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფს საბჭოს სამდივნო.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელს საბჭოს სპიკერის წარდგინებით ნიშნავს წარმომადგენლობითი საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს საბჭოს წევრი.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნო, სპიკერთან შეთანხმებით, ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, რომელსაც წინასწარ გადასცემს საბჭოს წევრებს.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც სამდივნოს უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 დღისა.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

თავი III. საბჭოს დროებითი სამუშაო ჯგუფები

მუხლი 13. საბჭოს დროებითი სამუშაო ჯგუფების ფორმირება

1. საბჭოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით, საბჭომ თავისი შეხედულებისამებრ შეიძლება შექმნას დროებით სამუშაო ჯგუფები გარკვეული ვადით;

2. დროებითი სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა განისაზღვრება საბჭოს არანაკლებ 3 წევრით. ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ჯგუფის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

3. დროებითი სამუშაო ჯგუფების საქმიანობას საერთო კოორდინაციას უწევს საბჭოს სპიკერი.

თავი IV. საბჭოს სხდომები

მუხლი 14. საბჭოს სხდომის მოწვევა

1. საბჭოს სხდომები მოიწვევა სემესტრში ორჯერ. საჭიროების შემთხვევაში მოიწვევა რიგგარეშე სხდომა(სხდომები).

2. საბჭოს სხდომებს იწვევს და წარმართავს საბჭოს სპიკერი. ინფორმაცია საბჭოს სხდომის ჩატარების შესახებ სხდომის ადგილის, დროისა და დღის წესრიგის მითითებით, გამოეკვრება საჯარო გაცნობისთვის უნივერსიტეტის შენობაში, სხდომის ჩატარებამდე 3 დღით ადრე მაინც ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას და ეცნობება საბჭოს წევრებს.

მუხლი 15. საბჭოს სხდომის მიმდინარეობა

1. საბჭოს სხდომებს წარმართავს საბჭოს სპიკერი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - მის მიერ დროებით უფლებამოსილი საბჭოს რომელიმე წევრი.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს თითოეული სხდომა აისახება ოქმით. ოქმს ხელს აწერს სპიკერი(ან სხდომის წარმართველი საბჭოს წევრი) და საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელი.

მუხლი 16. საბჭოს რიგგარეშე სხდომა

1. საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:

ა) საბჭოს სპიკერის ინიციატივით ან საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით;

2. რიგგარეშე სხდომის მოწვევის ძოთხოვნა წერილობითი ფორმით გადაეცემა საბჭოს სპიკერს. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს რიგგარეშე სხდომის მოწვევის აუცილებლობის დასაბუთებას.

3. საბჭოს რიგგარეშე სხდომას იწვევს საბჭოს სპიკერი მისი მოწვევის მოთხოვნიდან ერთი კვირის ვადაში.

4. საბჭოს რიგგარეშე სხდომა განიხილავს მხოლოდ რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს.

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 17. რეგლამენტის ძალაში შესვლა

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დროებითი რეგლამენტი ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

2. რეგლამენტი ქვეყნდება გაზეთში- „თბილისის უნივერსიტეტი".